„ამ წლების გამოცდილებამ დაამანა, რომ ქართველები სასონარკვეთილებით ვართ და არ ვართ, სადა ვეძებთ სიმშვიდე და ვეძებთ პასუხი კითხვებზე, რას შექმნენ სხვა ჩვენი შვილები. აი უზუსტად ამ კითხვებზე პასუხების საძებნელად მიდინ ქართველები საზღვარგარეთ. ამიტომ ჩამოვიდნენ ისინი იტალიაშიც, მე რომ 13 წლის წინ წამოვიდი საქართველოდან, თან წამოვიყვანე მცხოვრების პროცენტებიანი ვალი – 300 ლარი. სასექტემბროდ ალბერტი ვალი, რომ შვილებისთვის სახელმძღვანელოები და ტანსაცმელი მყიდო. 13 წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა ჩემს ქვეყანაში. ეს არის უბედურება. 13 წლის მერვე კი საქართველოში რომ ჩამოვიდოდი სოლამე და ვიტყვი, იქნებ, ამოვიყვანო, იმიტომ, რომ მომენტარა შვილებისთვის მოსამზადებელი სადილი, შვილებისთვის დასაუთოებელი ტანსაცმელი... მომენტარა, რომ დედიკოს ვუყიდო წამალი საკუთარი ხელით, მაგრამ მან ჩამოსული ვხედავ, რომ ვერა, ვერ დავისვენებ. აქედან უფრო ვჭირდები შვილებს. ვიცი, რომ ჩემი გამოგზავნის თანხით უფრო დავესმარები, თუნდაც შორიდან, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თითქოს დასაქმებული არიან, შემოსავალი ძალიან დაბალი აქვთ“.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, ვერ მოახერხა იმდენი თანხის დაგროვება, რომ მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი მომავალი ჰქონდეს, უახლოეს ერთ წელში საქართველოში დაბრუნებას მაინც აპირებს.

უკან დაბრუნებულნი

EUAA-ს გამოკვლევის თანახმად, საქართველოდან ემიგრირებული და დიდი ნაწილი კვლავ საქართველოში დაბრუნდება უნდა – ისინი არ გეგმავენ მასპინძელ ქვეყნებში დიდხანს დარჩენას“, – ვკითხულობთ ანგარიშში. ექსპერტთა განცხადებით, დაბრუნების მიზეზები სხვადასხვაგვარია – დასაქმებული მიგრანტები, რომლებმაც მიაღწიეს მიზანს; ახალგაზრდები, რომლებმაც უცხოეთში მიიღეს განათლება და სამშობლოში ბრუნდებიან; თავშესაფრის მაძიებელი, რომლებმაც ვერ დააკმაყოფილეს თავშესაფრისთვის მისაღები აუცილებელი მოთხოვნები და ვეღარ ხედავენ პერსპექტივას, დარჩენი საზღვარგარეთ.

ინფო თარგნისთვის, რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს კურნალისტი.

რაგომ და რაგომ ქვეყნებში მიღიან საქართველოს მოქალაქეები?

ამ მონაცემების თანახმად, ლელა ცისკარიშვილის მსგავსად, ყოველი მეხუთე განმცხადებელი თავშესაფრის თხოვნით საფრანგეთს მიმართავს. საფრანგეთის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეები თავშესაფარს ითხოვენ გერმანიაში და იტალიაში. EUAA-ს გამოკვლევაში ვკითხულობთ იმასაც, რომ ათიდან ცხრა აპლიკანტი, თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადს პირველად ავსებს. ამავე პერიოდში, საქართველოს 80 მოქალაქეს მიენიჭა ევროკავშირში ლტოლვილის სტატუსი. 35-ს დაენიშნა სუბსიდირებული დაცვა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლტოლვილის სტატუსის მიენიჭების გადანაკლებების რაოდენობა 23%-ითაა გაზრდილი.

306 ქვეყნის თავშესაფარს ევროკავშირში?

2022 წლის პირველ კვარტალში შეესაბამებულ აპლიკაციების 42% ქალბეს ეკუთვნით. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებელ ქალთა რიცხვი მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია. შარშან ეს რაოდენობა 39%-ს შეადგენდა.

- რაც შეეხება ასაკს:
 - თავშესაფრის მაძიებელთა 22% – 18 წელს ქვემოთაა;
 - 35% – 18-დან 24 წლამდეა;
 - ყველაზე მეტი, 41% – 35-დან 64 წლამდეა;
 - მხოლოდ 1% ეძებს თავშესაფარს 65 წლიდან.

ანგარიშის თანახმად, გასული წელს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, თავშესაფრის მოთხოვნაზე ყველაზე მეტი უარი საქართველოს მოქალაქე ბავშვებმა მიიღეს. განცხადებების 96% არ დაკმაყოფილდა. 2%-მა მიიღო სუბსიდირებული დაცვის სტატუსი. 1%-მა მიიღო დაცვა ჟენევის კონვენციის თანახმად, ხოლო ასევე ერთმა პროცენტმა – ჰუმანიტარული დაცვის სტატუსი.

საინტერესოა მკვლევრების დაკვირვება საქართველოს

გარიშზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს 100-დან 58 ქულა და „ნახევრად თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი აქვს. მკვლევრები აქცენტს აკეთებენ კიდევ ერთ ანგარიშზე, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები უსაზღვროდ“ ეკუთვნის და რომლის თანახმადაც, 2022 წელს საქართველო მნიშვნელოვნად დაქვეითდა მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში – 59.9 ქულით 180-დან 89-ე ადგილზე. ამ ნეგატიურ შედეგზე კი გავლენა იქონია 2021 წლის 5 ივლისს მომხდარმა მასობრივმა ძალადობამ და მას შემდეგ, უზრუნველსტებზე გახშირებულმა ფიზიკურმა თავდასხმებმა. ამავე კონტექსტში, EUAA-ს ანგარიშის ავტორებს მაგალითად მოჰყავთ 2022 წლის 9 ივნისს, ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც საუბარია საქართველოში მედიის თავისუფლების დარღვევებისა და უზრუნველსტების უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ.

EUAA-ს თანახმად, საქართველოდან მიგრაციის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი განმამატილებელი ფაქტორი ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური გამოწვევებია. გამოკვლევის ავტორები წერენ, რომ საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული რუსეთთან, ნეგატიურად აისახა უკრაინაში რუსეთის შეჭრა, „რაკილა ომი მკაფიო გავლენას ახდენს ვაჭრობაზე, პირდაპირ ინვესტიციებზე, ფულად გზავნილებზე, ფასებსა და ლოჯისტიკაზე“. ანგარიშის ავტორები აზუსტებენ, რომ წლიური ინფლაციის 13%-იანი მაჩვენებელი პირდაპირ აისახა საკვები პროდუქტის ფასებზე.

რაგომ მიღიან სალომე იტალიაში?

ჰერი არ წასულა, მაგრამ უკვე უკან დაბრუნებაზე ფიქრობს სალომე (სახელი შეცვლილია). უკან დაბრუნებაზე კი იმიტომ ფიქრობს, რომ აქ მშობლები რჩებიან და გარდა ფინანსური დახმარებისა, მალე მათ ფიზიკურადაც დასჭირდებათ გვერდში დგომა.

24 წლის სალომე მთიულეთის ერთ-ერთი პატარა სოფლიდანაა. თბილისში ბინა არ აქვს. ხან რესტორანში იმუშავა მიმტანად, ხან მალაზიაში კონსულტანტად, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ვერც ბინის ქირისა და ვერც სწავლის ფულს ვერ აგროვებდა, ისევ სოფელში დაბრუნდა. სალომეს მამა პენსიონერია. დედა სოფლის მალაზიაში მუშაობდა, თუმცა, მალაზია დაიხურა და ისიც სამსახურის გარეშე დარჩა. სალომე არას-

უკრაინასა და საქართველოს აშერიკამ გასანირი პაიკების როლი მიაკუთვნა

მრთ-მრთი სატელევიზიო გამოსვლისას, გიგა ბოკერიამ ვითომ ხუმრობით თქვა, რუსეთის აგენტობას „ცერუს“ აგენტობა ჯობიაო. სხვა კონტექსტში და სხვა ადამიანის პირით ნათქვამი ეს სიტყვები მართლა ხუმრობად შეიძლება მიგველო. თუმცა, ბოკერიას განცხადებას ოდნავ თუ ჩავუღრმავებთ, მივხვდებით, რომ მან თავისი სიტყვებით საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილში საკმაოდ ღრმად გაშვდარი დამოკიდებულება გაანათვალია. საქართველოში არცთუ მცირერიცხოვნობით არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამერიკის აგენტობა არათუ სათავილო მოვლენა, პატივსაცემი სტატუსიც კი არის. ამ დროს, სინამდვილეში, აგენტი აგენტი, რომელსაც სახელმწიფოსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის. აგენტობა თავის თავში გულისხმობს სხვა ქვეყნის მსახურებას ნებისმიერ ფასად და ნებისმიერი საჭიროებისათვის, მათ შორის, იმის გარდაუვალი დაშვებით, რომ ეს საჭიროება, კონკრეტულ ვითარებაში, შენი ქვეყნის ინტერესებთანაც შეიძლება მოვიდეს უხეშ წინააღმდეგობაში. შესაბამისად, სხვა ქვეყნის აგენტობა უკვე თავისთავად, ყოველგვარი დამატებითი გარემოებების გაუთვალისწინებლად, სამშობლოს ღალატს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, აგენტობა ყველა შემთხვევაში უაღრესად სათავილო და ანტი-სახელმწიფოებრივი მოვლენაა. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აგენტორული ვალდებულებებით ოკუპანტ სახელმწიფოსთან ხარ დაკავშირებული თუ არაოკუპანტთან.

აქ დამატებით ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, დიდი სახელმწიფოები საქართველოს გლობალური პოლიტიკის პრიზმაში განიხილავენ და ასეთ დროს, მათთვის ლოკალური ქართული ინტერესების მხედველობაში მიდებენ საკმაოდ რთულია. გლობალურ და ლოკალურ ინტერესებს შორის დიდი ქვეყანა უპირატესობას ყოველთვის გლობალურ ინტერესებს მიანიჭებს. დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, საქართველო, როგორც ძალიან პატარა ქვეყანა, სამწუხაროდ, პაიკად არის მოაზრებული, მოჭადრაკე კი პაიკს მხოლოდ იმ შემთხვევაში უფროსობა უნდა, თუ მას საჭადრაკო პარტი-აში თავისი არსებობით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. მაგრამ თუ მოჭადრაკე ხედავს, რომ პარტიის მოსაგებად პაიკის განირვით უკეთეს შედეგს მიიღებს, ბუნებრივია, უპირატესობას პრაგმატულად გადაწყვეტილებას მიანიჭებს და გლობალურ ინტერესებს თავლის დაუხამხამებლად შეგნირავს. ასეთ პირობებში, იმის ალბათობა, რომ

ამერიკის აგენტს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ წასვლა შეიძლება მოუწიოს, ძალზე მაღალია. ამის საუკეთესო მაგალითი დღევანდელი გლობალური და რეგიონული პოლიტიკური მოვლენებია. ჩვენ ვაკვირდებით გლობალური პოლიტიკის საჭადრაკო პარტიას, სადაც ამერიკამ უკრაინასა და საქართველოს გასანირი პაიკების როლი მიაკუთვნა. როგორც საერთაშორისო მედიაში არაერთხელ დაინერა, დღეს ამერიკა უკრაინაში რუსეთს ებრძვის უკანასკნელ უკრაინელამდე და საქართველოსთვისაც იგივე როლი შეიძლება მოაზრებული. ამაზე ჩვენ არც უნდა გავბრაზდეთ და არც უნდა გავანაწყენდეთ. მამლუქის სიტყვები უნდა გავისწავლოთ – გვეუბნებიან, ბიჭები ვართ და მოვდივართო და ჩვენც, თუ ბიჭები ვართ, უნდა დავხვდეთ და ქვეყანა დავიცვათ, რომ გლობალური ინტერესებისათვის მისი განირვის საშუალება არავის მივცეთ.

თუ ამერიკელებს საქართველოს განირვისთვის დიდწილად ვერ გავამტყუნებთ, ამას მის ქართველ აგენტებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. როდესაც ქართველი გქვია და ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ, შენგან იმ საქმეში მონაწილეობას, რომელიც საქართველოს გასანირი პაიკად ქვეყანა ითვალისწინებს, არავითარი გამართლება არა აქვს. შესაბამისად, არავითარი გამართლება არა აქვს იმ ადამიანების ქმედებებს, რომლებიც უკრაინაში ომის დაწყების მეორე დღიდან თბილისში ანტი-სამთავრობო აქციებს აორგანიზებდნენ და ქვეყნის არევის ცდილობდნენ; საქართველოს ომისკენ მიექაჩებოდნენ და მთავრობისგან რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, უკრაინაში მებრძოლი მოხალისეების გაშვებას და დიდ ოდენობით იარაღის შესყიდვას მოითხოვდნენ; ბაკურიანში იკრიბებოდნენ და რეგიონში შექმნილი უშიშესი ვითარების პირობებში, საქართველოში ხელისუფლების გადატრიალებას გეგმავდნენ და ა.შ.

უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ, აგენტურის საქმიანობა სათანადოდ უნდა შეფასდეს და თითოეულ აგენტს ქართველმა საზოგადოებამ სათანადო პოლიტიკური განაჩენი უნდა გამოუტანოს. როგორც ცნობილია,

არა მხოლოდ შემდგარი დანაშაული, არამედ დანაშაულის მცდელობაც დასჯადია. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ სასჯელს უნდა დაექვემდებაროს ყველა აგენტი, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობდა, მაგრამ შედეგის მიღწევა მხოლოდ ხელისუფლების პრინციპული და სახელმწიფოებრივი პოზიციის გამო ვერ შეძლო. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პრინციპულობა აგენტების მიმართ, რომელ უცხო ქვეყანასაც არ უნდა ემსახურებოდნენ ისინი. სააკაშვილის და გვარამიას მაგალითზე ვნახეთ, რომ აგენტების დაპატიმრებაზე ამერიკელები მიიმდებოდნენ რეაგირებენ. თუმცა, თუ გვირდებოდა სახელმწიფოებრივობა შევინარჩუნოთ და ომის საფრთხე საბოლოოდ ავიცილოთ თავიდან, ასეთ საკითხებში სისუსტის ჩვენება და უკან დახვევა დანაშაულის ტოლფასი იქნება...

ზაზა შატირიშვილი.



საპენსიო აქტივების ღირებულება მილიარდ ლარზე მეტია!

დროებით, მოქალაქეების ინტერნეტბანკებში არ ჩანდა გრაფა, სადაც მითითებულია, თუ რა ოდენობის თანხა დაგროვილი მათ საპენსიო ანგარიშებზე. მონაცემები არც ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე იძენებოდა.

როგორც „იმედინიუსს“ საპენსიო სააგენტოში განუცხადეს, სისტემის გამართულად მუშაობისთვის, აუცილებელი განახლებითი სამუშაოები ჩატარდა და მოქალაქეების ანგარიშებზე დაგროვილი თანხები უკვე ასახულია.

„ეს არის სტანდარტული, ჩვეულებრივი განახლებითი პროცესები, რომლებიც, 3-6 თვეში ერთხელ, აუცილებლად ტარდება, რათა სისტემამ გამართულად იმუშაოს. განახლებითი სამუშაოები უკვე დასრულებულია“, – განმარტეს სააგენტოში.

საპენსიო სქემაში განვერიანებულ მონაწილეთა როდენობა მილიონს აღემატება. 9 აგვისტოს მონაცემებით, გაცემულ თანხამ უკვე 5 072 564.85 ლარი შეადგინა. მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება მილიარდ ლარზე მეტია.


მზის ელექტროსადგურების დაყენების მიმართ ინტერესი იზრდება!

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ცნობით, მზის ელექტროსადგურების დაყენების მიმართ ინტერესი იზრდება.

სემეკ-ში განმარტავენ, რომ ნეტო აღრიცხვაში ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი პირი ერთვება.

„ნეტო აღრიცხვის სქემა ბოლო პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის ძირითადი მიზეზია ორი გარემოება. ერთი არის სუფთა, მწვანე ენერჯია. სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ამგვარი ენერჯის წყაროების ინსტალაცია. ძალიან მარტივია მისი დაყენება როგორც ოჯახში, ასევე კომერციულ ობიექტზე. გარდა ამისა, ჩვენ ხელ შეწყობთ არაერთი ლონისძიება გავაძარცვოთ, რათა ინტერესი უფრო გაზრდილიყო. ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო განვითარდა ნეტო აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმები. ცვლილებების მიხედვით, 100-დან 500 კილოვამდე გაიზარდა ერთ აბონენტზე დადგმული სიმძლავრის მოცულობა. გარდა ამისა, შესაძლებელია, სადგური დამონტაჟდეს სხვაგან და ენერჯია სხვა ადგილას გამოიყენოს. ქსელში გატარდება არსებობს ქსელური ტიპის შეღავათები. ამდენად, ბოლო პერიოდში სისტემაში ბევრი სუბიექტი ჩაერთო. თუ 2016-2020 წლებში დადგმული სიმძლავრის მოცულობა 3,5 მეგავატს შეადგენდა, დღეს ეს რიცხვი 27 მეგავატს აღემატება. დადგმული სიმძლავრის 1/3 თბილისზე მოდის, დანარჩენი 2/3 რეგიონებზე“, – აცხადებს სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიძე.

ინფორმაციისთვის, ნეტო აღრიცხვა გულისხმობს იმას, რომ თუ მოქალაქე ელვობს მზის, ქარის, ჰიდრო ან სხვა განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურს, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 500 კილოვატს, აქვს შესაძლებლობა, პარალელურ რეჟიმში ჩაერთოს ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში და ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერჯია მიანოდოს გამანაწილებელ კომპანიას. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის განმარტებით, მოქალაქეს ეს საშუალებას მისცემს, დაიკამათოს საკუთარი მოხმარება, დაზოგოს კომუნალური ხარჯები, და მეტიც, მიიღოს სარგებელი გამანაწილებელი კომპანიისაგან.



ლევან ნიკოლეიშვილი: სწორედ იმიტომ არ მიგვიღეს ნატოში, რომ ეს ომები ყოფილიყო!



მსსპრტი ლევან ნიკოლეიშვილი უკრაინის თავდაცვის მინისტრის ოლექსი რეზნიკოვის განცხადებას ეხმიანება, რომელმაც აღნიშნა, რომ არც საქართველოში და არც უკრაინაში ომი არ იქნებოდა, 2008 წელს ეს ქვეყნები NATO-ში რომ მიეღოთ.

„რამდენიმე დღით გვიან, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოვეხმაუროთ უკრაინის თავდაცვის მინისტრის, რეზნიკოვის განცხადებას. ერთი შეხედვით მას უცნაური არაფერი უთქვამს. მოდით, გავისწავლოთ მისი ზუსტი ციტატა: „არც საქართველოში და არც უკრაინაში ომი არ იქნებოდა, 2008 წელს ეს ქვეყნები NATO-ში რომ მიეღოთ...“ კი, მართალია, მაგრამ ეს განცხადება იცით რას ჰგავს, რაღაც საკითხზე მსჯელობას რომ ბოლოდან, ანუ დამდგარი შედეგიდან დაიწყებ. მით უმეტეს უშიშესი განცხადებაა იმ ფონზე, რომ ეს შედეგი არის ომი, დანგრეული ქალაქები და სოფლები, დახოცილი ადამიანები და რუსეთის მიერ წაღებული ტერიტორიები.

არ ვარ დარწმუნებული, რომ რეზნიკოვის ეს განცხადება მხოლოდ მისი მოსაზრებაა. ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი „სინანულით“ საუბრობს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებებზე და თითქოს, ამ „სინანულით“ და „შეცდომის აღიარებით“ ალიანსისთვის პირის მოწმენდას ცდილობენ, მაგრამ მე საკითხს სრულიად სხვაგვარად დავაყენებდი – ღრმად ვარ დარწმუნებული და მჯერა, რომ ალიანსის მესვეურებმა ძალიან კარგად იცოდნენ მათი გადაწყვეტილების, ანუ საქართველოსა და უკრაინისთვის უარის თქმას რა შედეგი მოჰყვებოდა. ანუ მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი მათ უარს გამოიყენებდა და მაქსიმალურად გაამწვავებდა ვითარებას რუსეთის ფედერაციასა და ალიანსის საზღვრებს შორის მოქცეულ ორ ქვეყანაში...

ამიტომ ჩნდება სრულიად ლეგიტიმური ეჭვი და ვარაუდი, რომ სწორედ იმიტომ ეთქვათ უარი ალიანსის მხრიდან საქართველოს და უკრაინას, რომ ომი იქნებოდა გარდაუვალი, რაც გამოიწვევდა რუსეთის დასუსტებას და საერთაშორისო იზოლაციას. ანუ მარტივად რომ ვთქვა, მსჯელობა – ჩვენ რომ ნატოში გავწევრიანებულიყავით, ომი არ იქნებოდა, არის მცდარი. სწორია – სწორედ იმიტომ არ მიგვიღეს ნატოში, რომ ეს ომები ყოფილიყო! – წერს ნიკოლეიშვილი.

ფორუმი

გაუზიან ხორვატეთის ქალაქ სპლიტში დაიწყო და 10 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ზედიზედ მეხუთედ მონაწილეობს დამინან სტანოივიჩიჩისა და ზაუარაბ რაუპის განვითარებული საქართველოს ეროვნული ნაკრები ასეთი შემადგენლობით: რაზმაძე, შუბლაძე, დადგანი, ჯანაია, ტყეშელაშვილი, ელაჩა, ბარალაძე, ბითაძე, ადგიშვილი, ვაპენსკი, შუშიაშვილი, იმნაიშვილი (კაპიტანი), სარიჩი, მაგარაქველიძე, ვასიჩი.



„ა“ ჯგუფი. იტალია, საქართველო, სლოვაკეთი, მონტენეგრო. „ბ“ ჯგუფი. საბერძნეთი, მალტა, საფრანგეთი, ხორვატეთი. „გ“ ჯგუფი. რუმინეთი, გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები. „დ“ ჯგუფი. სერბეთი, უნგრეთი, ისრაელი, სლოვენია.

თითოეული კვარტეტიდან პლეი-ოფებში 3-3 საუკეთესო ითამაშებს, მათ შორის პირველადგილოსნები - პირდაპირ მეოთხედფინალში, დანარჩენი მეტოქეები კი ასე დაწყვილდნენ: „ა“ 2 - „გ“ 3, „ბ“ 2 - „დ“ 3, „ა“ 3 - „გ“ 2, „ბ“ 3 - „დ“ 2. ასე რომ, „ჯვაროსანთათვის“ პროგრამა - მინიმუმს ტოლ-სწორ უშუალო კონკურენტ სლოვაკებთან გამარჯვება წარმოადგენს, თუმცა ბიჭებმა ერთ-ერთ ფავორიტ მონტენეგროსთანაც ღირსეულად იბრძოლეს, ბოლო პერიოდი მოიგეს კიდევ და აუზი თავანულებმა დატოვეს - 11:14 (3:5, 2:4, 3:4, 3:1).

გილიონერთა კლუბი



გაინს ფედეჩარი

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ რაფაელ ჰაშიმტაიჩის თითქმის ერთი სეზონია, არ უთამაშია. მაგრამ ამის მიუხედავად, უკვე ზედიზედ მე-17 წელია, არავის უთმობს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჩოგბურთელის წოდებას. ფედერერი ახლა 41 წლისაა და შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ისვენებს, რადგან მტკიცედ მუხლზე კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა. სწორედ მუხლის ტრავმა იმის მიზეზი, რომ შვეიცარიელი გრანდს ბოლო დროს იშვიათად ეძლევა კორტზე გამოსვლის საშუალება. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, დიდი სლემის 20 ტიტულის მფლობელმა,

გასულ 12 თვეში მინც 90 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ოღონდ ამ თანხას უნდა დააკლდეს გადასახადები და აგენტების ჰონორარები. რა თქმა უნდა, ეს შემოსავალი მას ტურნიერების საპრიზო ფონდებიდან არ მიუღია. ის ანაზღაურებას სხვადასხვა სახის ბიზნესსაქმიანობით ღებულობს, ჩოგბურთელთა სიაში კი იმ მარტივი მიზეზის გამოა, რომ სპორტისთვის თავი ოფიციალურად ჯერ არ დაუნებებია. სიაში მეორე ადგილზეა ნაომი ოსაკა, ვისაც საკუთარი ბიუჯეტი 56.2 მილიონი დოლარით შეუვსია. 24 წლის იაპონელმა ენბი-ის სუპერვარსკვლავ ლეპონჯიმსთან ერთად მედიაკომპანია შექმნა. ოსაკა ყველაზე მაღალ შემოსავლიანი ჩოგბურთელი ქალია და შარშან უფრო მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე სერენა უილიამსმა. ამერიკელმა გრანდმა, ვინც ამ სეზონის ბოლოს საკუთარ სპორტულ კარიერას დაასრულებს, ბოლო 12 თვეში 35.1 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. 31.4 მილიონი დოლარია რაფაელ ნადალის, 27.1 მილიონი კი ნოვაკ ჯოკოვიჩის ანგარიშზე. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სიაში მეექვსე ადგილზეა ბრიტანელი თინიჯერი ემა რადუკანუ, ვინც გასულ სეზონში აშშ-ის ღია პირველობაზე სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. მის ანგარიშზე 21.1 მილიონი დოლარია, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დანიელ მედვედევმა (19.3 მილიონი) დააგროვა.

მოვლენა

ამერიკელი, ვინც იაპაიკალები დაამარცხა

ლოზანაში გამართულ მძლეოსნთა ბრილიანტის ლიგის შეხვედრაზე ქალთა შორის 100 მეტრზე სპრინტში ამერიკელმა ალშია ჰობსმა გაიმარჯვა და ეს მაშინ, როცა შვეიცარიაში მასთან ერთად სამივე საუკეთესო იამაიკელმა სპრინტერმა იასპარეზა. მაგრამ მათგან ფინალში სტარტზე მხოლოდ ერთი - შერიკა ჯექსონი დადგა. ის ამერიკელმა ფოტოფინიშით დაამარცხა. ჰობსის დროა 10.87 წამი, ჯექსონს კი მასზე მხოლოდ 0.01 წამით უარესი ჰქონდა. მესამეზე სპილოს ძვლის კუნძულე მარი-ზოსე ტა ლუ გავიდა (10.89). იამაიკელი ელენ თომპსონ-ურა, ვინც იუჯინის და რაბათის შეხვედრები მოიგო, ფალს-სტარტისთვის გარბენიდან მოიხსნა, ლიგის სამი შეხვედრის გამარჯვებულმა შელი-ენ ფრეიზერ-პრაისმა კი ფენის ტრავმა მიიღო და ასპარეზობას ადრევე გამოეთიშა. ჰობსი სულ მეორე არაიამაიკელი სპრინტერია, ვინც ამ სეზონში ბრილიანტის ლიგაზე 100 მეტრზე სპრინტი მოიგო. პირველმა ეს ბრიტანელმა დინა ესერ-სმიტმა ბირმინგემის შეხვედრისას შეძლო. „კარგი სტარტი მქონდა. მე ვიცი, რომ თუ კარგი სტარტი მექნება, კარგ დროში



გარბენა შემძლია. მისარია, რომ ეს შეხვედრა და ფინალს 10.87 წამში მივაღწიე. ლოზანაში პირველად გამოვედი. აქ ასპარეზობა პირველად რამდენიმე წლის წინათ შემძლო, მაგრამ ამის საშუალება ტრავმამ არ მომცა“, - განაცხადა ჰობსმა. მამაკაცთა შორის 200 მეტრზე სპრინტში ტოკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, ამერიკელმა ნოა ლაილზმა გაიმარჯვა. მან ლიგის ჩემპიონის წოდება მესამედ მოიგო. ლაილზის დროა 19.56 წამი. მას 0.2 წამით ჩამორჩა თანამემამულე მაიკლ ნორმანი, მესამეზე კი ტრინიდადი და ტობაგოელი ჯერიმ რიჩარდსი გავიდა. მამაკაცთა შორის შუბის ტყორცნაში ინდოელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნერაჟ ჩოპრამ გაიმარჯვა, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლს დასჯერდა. ჩოპრამ პირველივე ცდაზე შუბი 89.08 მეტრზე გასტყორცნა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მეორე და მესამე ადგილები ჩემმა იაკუბ ვალდეისმა (85.88 მეტრი) და ამერიკელმა კერტის თომპსონმა (83.72 მეტრი) დაიკავეს.

ფეხბურთი

ევროპულ ტაღლაზე

ჩვენი უკვე გაგაცანით ჩემპიონთა ლიგის დამდეგ სეზონში სვიჩა კვარაცხელიასა და დავით ხოქოლაძის კლუბების მეტოქეთა ვინაობა ჯგუფურ რაუნდში. ამჯერად გთავაზობთ ნაპოლისა და კოპენჰაგენის კალენდარს, აგრეთვე დანარჩენი ევროტურნირების წილისყრის შედეგებს, სადაც საქართველოს 8 წარმომადგენელი ჰყავს.

„ზ“ ჯგუფი. ოლიმპიაკოსი, ყარაბაღი, ფრაიბურგი, ნანტი. „თ“ ჯგუფი. ცრვენა ზვეზდა, მონაკო, ფერენცვაროში, ტრაბზონსფორი. ქონვარენსლია ჯგუფური ტურნირი. 8 IX-3 XI. პლეი-ოფები. 16 თებერვლიდან. ფინალი. 7 ივნისი. პრაღა. „ა“ ჯგუფი. ბაშაქშეპირი, ფიორენტინა, ჰართსი, რუს (ლატვია). „ბ“ ჯგუფი. ვესტ ჰემი, სტიაუა, ანდერლესტი, სილკებორგი. „გ“ ჯგუფი. ვილიარეალი, ჰაპოელი, აუსტრია, ლეხი. „დ“ ჯგუფი. პარტიზანი, კიოლინი, ნიცა, სლოვაკო. „ე“ ჯგუფი. ალკმარი, აპოლონი, ვალუცი, დნიპრო. „ვ“ ჯგუფი. გენტი, მიოლდე, შემროკ როვერსი, იურგორდენი. „ზ“ ჯგუფი. სლავია (პრაღა), კლუჟი, სივასფორი, ბალკანი. „თ“ ჯგუფი. ბაზელი, სლოვანი, ჟალგირისი, პიუნიკი.

ჩემპიონთა ლიგა 7 სექტემბერი. ნაპოლი - ლივერპული. 13 სექტემბერი. რეინჯერსი - ნაპოლი. 4 ოქტომბერი. აიაქსი - ნაპოლი. 12 ოქტომბერი. ნაპოლი - აიაქსი. 26 ოქტომბერი. ნაპოლი - რეინჯერსი. 1 ნოემბერი. ლივერპული - ნაპოლი. 6 სექტემბერი. დორტმუნდი - კოპენჰაგენი. 14 სექტემბერი. კოპენჰაგენი - სევილია. 25 ოქტომბერი. სიტი - კოპენჰაგენი. 11 ოქტომბერი. კოპენჰაგენი - სიტი.



25 ოქტომბერი. სევილია - კოპენჰაგენი. 2 ნოემბერი. კოპენჰაგენი - დორტმუნდი. ევროპა ლიგა ჯგუფური ტურნირი. 8 IX-3 XI. პლეი-ოფები. 16 თებერვლიდან. ფინალი. 31 მაისი. ბუდაპეშტი. „ა“ ჯგუფი. არსენალი, მსვ, ბოდო გლიმტი, ციურხი. „ბ“ ჯგუფი. კიევის დინამო, რენი, ფენერბახჩე, აეკ (კვიპროსი). „გ“ ჯგუფი. რომა, ლუდოგორეცი, ბეტისი, ჰიკი. „დ“ ჯგუფი. ბრაგა, მალმიო, უნიონი, ჟილი. „ე“ ჯგუფი. მანჩესტერი, სოსი-ელადი, შერიფი, ომონია. „ვ“ ჯგუფი. ლაციო, ფიენო-ორდი, მიდტიულანდი, შტურმი.

„ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალიტინი ფლორენციის „ფიორენტინასთან“ მატჩის (0:0) შემდეგ ჯერ ტელეკომპანია DAZN-ის პირდაპირ ეთერში ჩართვისას და მერე პრესკონფერენციაზე ხშირად კმარაბსხმლიაზი ისაუბრა.

სპალიტიმ აღნიშნა, რომ სვიჩას მხრებზე საქართველოს გზავნილი აქვს და ცოტა დაძაბულია, მაგრამ სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს. იტალიელმა ხაზი გაუსვა, რომ კვარაცხელიამ თავის დონეზე ვერ ითამაშა, მაგრამ ასევე ახსენა ის პასი, რომელიც ირვინგ ლოზანოს გაუკეთა, მაგრამ მექსიკელმა ახლო მანძილიდან გატანა ვერ შეძლო. „იმასთან შედარებით, ვიდრე შეუძლია, დაბალ დონეზე ითამაშა - ბურთს ზედმეტად ფლობდა და ზოგჯერ დალილობაც ეტყობოდა, მაგრამ პასი ლოზანოზე არის მომენტები, რომელთა გამოუყენებლობა დაუშვებელია. მას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, რომ თავისი თავი წარედგინა თანაგუნდელების, მენეჯერებისა და „ნაპოლის“ ტიფოზებისთვის. ის ახალგაზრდაა და აქვს სურვილი, რომ გაიბრწყინოს. გარდა ამისა, მხრებზე აქვს თავისი ერის, საქართველოს გზავნილი. ახლა ცოტათი დაძაბულია, რადგან თავისი ღირებულების ერთიანად ჩვენება სურს, მაგრამ მშვიდად უნდა იყოს და დაელოდოს შესაფერის მომენტს, რათა ყველას დაანახოს, რომ ნებისმიერი გუნდისთვის მზადაა, რადგან მართლაც ასეა“, - თქვა სპალიტიმ ქართველ ფეხბურთელზე საუბრისას. გარდა ამისა, მან შემადგენლობაში როტაცია დაანახონა, რაც გვაფიქრებინებს, რომ „ლეჩესთან“ შესაძლოა სვიჩა ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდეს: „რატომ დავაყენე იგივე შემადგენლობა, რაც წინა მატჩებში? იმიტომ, რომ კარგად ვთამაშობდით და როცა კარგად თამაშობ, ცვლილება საჭირო არაა. თუმცა, ახლა, როცა ყოველ სამ დღეში თამაში გველოდება, როტაცია იქნება“, - აღნიშნა მან. შეგახსენებთ, რომ სვიჩა კვარაცხელიას სერია A-ს მიმდინარე სეზონში 3 ტურში 3 გოლი და 1 საგოლე პასი აქვს მიტოვებული. ბომბარდირთა დავაში ქართველი ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელ დუშან ვლაჰოვიჩთან ერთად ლიდერობს. „ნაპოლის“ 7 ქულა აქვს (როგორც „მილანს“, „ლაციოს“, „ტორინოს“, „ატალანტას“ და „რომას“) და საქართველოს ცხრილში ბურთების უკეთესი ბალანსით პირველ ადგილზეა, მომდევნო ტურში კი სვალ „ლეჩეს“ უმასპინძლებს.

განცხადება

„ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადასახადის საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სავაჭრობითი საქმიანობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყორივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გასაცემის მიზნით აუქციონის გამართვის შესახებ


სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ცხადდება აუქციონი სახელმწიფო ტყის ფართობზე, გურჯისტანის რეგიონში, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადასახადის საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სავაჭრობითი საქმიანობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყორივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გასაცემის მიზნით.

ლოტი	სატყეო	კვარტალი	ლიტერები	წლიურად მოსაპოვებელი რესურსი (ტონა)	საწყისი ფასი (ლარი)
5	თლული	12	19,20,22,27,30	20	180676
6	თლული	13	1,2,6,7,9,10,12,13,14,15	20	120672
7	თლული	13	16,17,18,19,20,21	20	180676
8	თლული	14	1,2,4,6,8	10	60336
16	თლული	18	14	5	30168
18	თლული	19	7	10	90337
19	თლული	20	7,8,9,10,11,12,13	20	120672
20	თლული	20	14,15,16,17	20	180676
23	თლული	27	1	10	90337
24	თლული	27	3,4	10	60336
25	თლული	30	1,2,3,8	5	30168
26	თლული	30	9,11,13,14,16,20	5	45168.5
27	ნიკორწმინდა	6	2,3	10	90337
31	ნიკორწმინდა	28	1	20	120672
35	მაჭარწყალი	6	4,5,6,7,8,9,10,11,12,14,15,16	5	30168

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრულ სალიცენზიო ფართობზე
- ბ) დაიცვას სოჭის გირჩის მოპოვების დასაშვები მოცულობა (კვტა), რომელიც ყოველწლიურად დგინდება ლიცენზიის გამცემის მიერ;
- გ) სალიცენზიო ფართობზე სოჭის გირჩის დამზადება აწარმოოს სექტემბერ-ოქტომბერში;
- დ) კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში დაიცვას სალიცენზიო ფართობი უკანონო ტყის სარგებლობისაგან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ; შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, 1 სექტემბრამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მიმართოს ტყის მართვის ორგანოს სალიცენზიო ფართობის გადმოხარების, ხოლო 1 ნოემბრამდე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა - გადახარებისათვის; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ასევე უზრუნველყოს გადაცემული ფართობის მიღება-ჩაბარების აქტით დაბრუნება ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში;
- ე) უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა;
- ვ) ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს განახორციელოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები (გარდა სამეურნეო ჭრებისა); სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები ტარდება ლიცენზიის მფლობელის შეტყობინების შემდეგ;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, გადაიხადოს სოჭის გირჩით სარგებლობის

- რეგულირების საფასური;
- ბ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საკვე-უწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზემოქმედების დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
- თ) სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, მოპოვებული სოჭის გირჩიდან მიღებული არაუმეტეს 10 000 სოჭის ნერგის გაშენებისათვის საჭირო სოჭის თესლი უსასყიდლოდ გადასცეს შესაბამისი პროექტის/სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ პირს“.
- ი) აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის 50%-ის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.
- კ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს ამ ბრძანების მე-7 პუნქტით აუქციონზე მის მიერ დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ თანხის გადახდის წესს, იგი ვალდებულია დაარღვევს დიდიან ყოველ გადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო იმ პერიოდისათვის გადასახდელი (ვადადაცილებული) თანხის 1%-ის ოდენობით, ძირითადი თანხის გადახდის გადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს, ამავე ვადაში დაფარული უნდა იქნეს პირგასამტეხლოც, რომელთა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
- სარგებლობის ლიცენზიის ვადებისა და აუქციონის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია და გამართვის ვადები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტგვერდზე <https://www.eauction.ge>.



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, მისი პრეზიდენტი ლეონიდა ჯახიას მონაწილეობით იუნესკო-სთან ერთად აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის

ლეონიდა ჯახიას

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებული ოჯახსა და ახლობლებს.
გამოსვენება 30 VII, 14 სთ.
მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის მე-4 შესახვევი, კორპუსი №2, სადარბაზო 1, სართული 2.



მადლობა შენ, უშურველი სიყვარულის გაცემისთვის!

საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 მოტომსროლელი ბატალიონის ვეტერანები ლეონიდა ჯახიასთან ერთად გულსტკივილით იუნესკო-სთან ერთად საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილის

პაატა კოდუას

უდროო გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
ძმავ პაატა, შენ სრულიად ახალგაზრდამ, 18 წლისამ გადაწყვიტე, ჩამდგარიყავი შენთვის საფიციარი საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. მადლობა შენ, ძმავ, უშურველი სიყვარულის გაცემისთვის, წრფელი მეგობრობისთვის და თანადგომისთვის.

ეთიოპიაში საპაპურო ბაღი დაიხსნა

ჩრდილოეთ ეთიოპიაში, ტიგრის რეგიონში მდებარე ქალაქ მეკელეში, საპაპურო ბაღზე საპაპურო თავდასხმა განხორციელდა. დაღუპულია სულ მცირე ოთხი ადამიანი, მათგან ორი ბავშვი. გაეროს ბავშვთა ფონდი მოუწოდებს ყველა მხარეს, „დაეთანხმოს სამხარეთო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას“. ქვეყნის ფედერალური მთავრობა მომხდარში მონაწილეობას უარყოფს. მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საპაპურო ბაღის სამიზნე მხოლოდ სამხედრო ობიექტები იყო. ისინი მომხდარში ტიგრის სახალხო განმათავისუფლებელი ფრონტის ძალებს ადანაშაულებენ.

თურქეთში ავტობუსი სვეში გადავიდა

თურქეთში ტურისტული ავტობუსი სვეში გადავიდა. შედეგად სული ადამიანი დაიღუპა, 38 კი დაშავდა. ინციდენტი ბურსას პროვინციაში მოხდა. წინასწარი ცნობით, ავტობუსს მუხრუჭი დაუზიანდა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტობუსი სვეში გადავიდა. დაღუპულს შორის არის ავტობუსის მძღოლიც. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.





ისტორიული ხელოვნების ნიმუშების უმსხვილესი აუქციონი

Christie's აუქციონზე კომპანია Microsoft-ის თანადამფუძნებლის, პოლ ალენის ხელოვნების ნიმუშების კოლექცია გაიყიდა. ეს ყველაზე მასშტაბური აუქციონი იქნება ისტორიაში: ტილოების საერთო ღირებულება 1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

კოლექციაში შედის ალორკინების ხანის ოსტატების, იმპრესიონისტებისა და მე-20 საუკუნის მხატვრების ნამუშევრები - სულ 150 ტილო, რომლებიც 5 საუკუნის განმავლობაში იყო დაწერილი. მათ შორის არის ფრანგი პოსტიმპრესიონისტის, პოლ სეზანის ცნობილი ნამუშევარი „მონ სენ ვიქტუარი“. ვაჭრობის შედეგად მიღებული თანხა კი ალენის სურვილის თანახმად, ქველმოქმედებას მოხმარდება. პოლ ალენმა კომპანია Microsoft-ი ბილ გეიტსთან ერთად 1975 წელს დააარსა. მან კომპანია 8 წლის შემდეგ დატოვა, როცა კიბოს იშვიათი ფორმა - ჰოჯკინის ლიმფომა დაუდგინეს. მან დაავადება დაამარცხა. 2010 წელს ალენმა პირობა დადო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი ქონების უდიდესი ნაწილი ქველმოქმედებას მოხმარდება. იმ მომენტისთვის ის მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში 37-ე პოზიციას იკავებდა. პოლ ალენი 2018 წელს, ლიმფომით დაიღუპა. ის 65 წლის იყო.



MTV-ის საუკეთესო ვიდეორგოლები

MTV-მ წლის საუკეთესო მუსიკალური ვიდეორგოლები დაასახელა. Video Music Awards-ის დაჯილდოების ცერემონია ქალაქ ნიუარკში გაიმართა. მისი წამყვანები კი ჯექს პარლოუ და Lil Cool J იყვნენ.

წლის საუკეთესო ვიდეორგოლად ტეილორ სვიფტის All Too Well დასახელდა, წლის შემსრულებლად კი Bad Bunny. ნომინაციაში „საუკეთესო ახალი შემსრულებელი“ დაჯილდოვდა იმარჯვა, საუკეთესო ჯგუფი კი BTS-ი გახდა. წლის სიმღერის ტიტული ბილი აილიშის კომპოზიციამ დაიმსახურა. ჰიპ-ჰოპის სტილში საუკეთესო ვიდეოდ Nicki Minaj-ისა და Lil Baby-ის კომპოზიცია დასახელდა, საუკეთესო როკ-ვიდეოს ნომინაციაში კი Rod Hot Chili Peppers-ის Black Summer-მა გაიმარჯვა. წლის პოპ-ვიდეოდ ჰარი სტაილსის As It Was დასახელდა.

ბრიტნი სპირსი კვლავ აქტიურია

6-წლიანი პაუზის შემდეგ ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა სიმღერა გამოუშვა. კომპოზიცია Hold Me Closer ბრიტნი სპირსმა ელტონ ჯონთან ერთად ჩაწერა.



სიმღერაში გამოყენებულია ელტონ ჯონის 1971 წლის ჰიტის, Tiny Dancer-ის მისამღერი. ბრიტნი სპირსის ბოლო სტუდიური ალბომი 2016 წელს გამოვიდა.

სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტის კონსერტი გაიმართა

პანდემია, რომელიც საფრანგეთის საზღვარზე საცობში იყო გაჭედებული მძღოლებისთვის და მგზავრებისთვის კონცერტი გამართა.

შემთხვევა კალეში მოხდა. ჯაზ-ბენდის მუსიკოსების ნაწილი ავტომობილთან ახლოს უკრავდა, ნაწილი კი მანქანის სახურავზე. კონცერტის ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

კიანუ რივი - „დაუპატიჟებელი“ სტუმარი

მსახიობი კიანუ რივი მისთვის უცნობი წვეილის ქორწილში აღმოჩნდა. „მატრიცის“ ვარსკვლავი ბრიტანეთში, ნორტჰემპტონში ფორმულა 1-ის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებებზე ჩავიდა. მსახიობი ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდა, სადაც ადგილობრივი წვეილის - 35 წლის ჯეიმსისა და 34 წლის ნიკი როუდენაიტების ქორწილს აღნიშნავდნენ.



ჯეიმსმა რივი სასტუმროს ბარში შენიშნა და წვეულებაზე დაპატიჟა. მოგვიანებით მსახიობი მართლაც მივიდა ქორწილში. „ვერ ვიჯერებდი, რომ ეს კიანუ რივი იყო. ძალიან სასიამოვნო ადამიანია“, - განუცხადა ჟურნალისტებს ნიკი.

„რეპოს“ სოლი სვილდეა



სილვესტერ სტალონის ცოლმა, ჯენიფერ ფლავინ სტალონემ განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. მას განქორწინების განაცხადზე საპასუხო წერილი ჯერ არ გაუგზავნია.

როგორც Daily Mail-ი წერს განქორწინების სავარაუდო მიზეზი წვეილის ძალი გახდა. კერძოდ, მსახიობმა ცოლს ხნის წინ, მხარზე, სადაც ცოლის სახე ჰქონდა ამოსვირიგებული, საყვარელი ძაღლის გამოსახულება დაიხატა. თუმცა როგორც Yahoo News წერს, სტალონე ამ ინფორმაციას უარყოფს. სილვესტერ სტალონე და ჯენიფერ ფლავინი 1997 წელს დაქორწინდნენ და მათ 3 ქალიშვილი ჰყავთ.

ასობით მოზარდის მკვლელობის უფლებების დარღვევაზე აღსაპირაკდა!!!

ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრევიკი, რომელმაც 2011 წელს 77 ადამიანი მოკლა, მიიწვევს, რომ, 10 წლის იზოლაციაში გატარებით, მისი, როგორც ადამიანის უფლებები დაირღვა. ბრევიკი სამართლო საკანში ყოფნას აპროტესტებს და მთავრობას უჩივს.



43 წლის ტერორისტს 21-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი და 10 წელია, სამართლო საკანში იხდის სასჯელს. ამ წლების განმავლობაში, ის არაერთხელ მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში - პერიოდულად, ტერორისტი ან პირობით ვადამდე გათავისუფლებას ან სხვა პატიმრებთან კომუნიკაციის უფლებას ითხოვს. ასევე, პრეტენზიას გამოთქვამს ციხის საკვებასა და იმაზე, რომ მისი მიღება პლასტიკის ჭურჭლიდან უწევს. ბრევიკის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს ქართველი გოგონა - თამთა ლიპარტიელი ანიც ემსხვერპლა.

პაკისტანი მსოფლიოს საკვებით დახმარებას სთხოვს

პაკისტანი საერთაშორისო დახმარებას ითხოვს. ქვეყანა, სადაც ძლიერი წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობებმა 1000-მდე ადამიანი იმსხვერპლა, საკვების დეფიციტს განიცდის.

„შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და სხვა ქვეყნებმა წვლილი შეიტანეს მუსონური კატასტროფის მართვაში, მაგრამ გაცილებით მეტი თანხები საჭირო“, - განუცხადა BBC-ს პაკისტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

მდინარეების ადიდების გამო, პაკისტანში ათასობით ადამიანის ევაკუაცია დაიწყო. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია.

ყველაზე მეტად, ძლიერი წვიმებით სამხრეთ პაკისტანი დაზარალდა - განსაკუთრებით, სინდის პროვინცია, სადაც თითქმის რვაჯერ მეტი ნალექი მოვიდა, ვიდრე აგვისტოს საშუალო მაჩვენებელია.



უსტორიული ვაჭრობის ქარსი:
აუზ ღოღარი - 2.8608; პარკი - 2.8648
ბრიტანული ბირჟის სტატიონი - 3.3860;
100 რუბლი - 4.4721; თურქული ლირა - 0.1574;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6828;
1000 სომხური დრამი - 7.0290.

აქტიური 30 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარსი - ღამე +16, ღამე +37
მთიანი რაიონები - ღამე +11, ღამე +34
დასავლეთი საქართველო:
ბარსი - ღამე +19, ღამე +36
მთიანი რაიონები - ღამე +14, ღამე +36
თბილისი: ღამე +19, ღამე +36

დაგვირეკით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ქვეყნის ბაზრის №170
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიძე
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24
გამომცემელი:
შპს „ახალი საუკუნე“ -
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამშრომლობა“-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იზაბელა სტამბა
„კოლორი“
თ. ბაღდაშვილის №3
კოლორი
ჭაუჭი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
2 009882 616932
ავტორთა
საზღვრისაღივრად!
რედაქციის მიერ
შეუპოვებელი მასალა
დაიბეჭდება
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხატულება, გულად
არ ემთხვევება
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების
სიზუსტეზე პასუხს
ავტორთა ავტორები.

გაზეთის
მოგვწერ
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
2 სექტემბერს